№ 272
პარასკევი, 17 დეკემბერი, 1899 წ.

გაზეთის ღირს:

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

1877—1899

# ივერია

№ 272
პარასკევი, 17 დეკემბერი, 1899 წ.
რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციის და წერა-კითხვ.
გამავრც. საზოგადოების კანცელარიის
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ
16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

ქ. ქუთაისში
კბილის ექიმი
სალომე ი. კერესელიძე
მიიღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9 საათიდგან საღამოს 6-მდე.
მიხეილის ქუჩა, შნეიდერის სახლები. (30—147—26)

შაბათს, 18 დეკემბერს,
„ტფილისის სობრანიე“-ში
„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ საშუალებათა გასამრავლებლად
კნ. ოლგა თადეოზის ასული ჭავჭავაძისა გამართავს სამუსიკო-სალიტერატურო და საცეკვაო საღამოს.

მონაწილეობას მიიღებენ: კნ. ქ. ფ. გურამიშვილისა, კნ. ვ. მ. ამირაჯიბი, კნ.-ო. გ. ამირაჯიბი და ბ-ნნი მ. ვ. სერბულოვი, ა. ღ. ბუში, ნ. დ. კოვალენსკი, თავ. ი. ა. ბარათაშვილი, კ. ს. მესხი და ზ. პ. პალიაშვილის ქართული ხორო.

დასაწყისი საღამოს 8 საათზედ.

ბილეთების ყიდვა შეიძლება კნ. ჭავჭავაძისაგან, ნიკოლოოზის ქუჩაზედ, № 21, და წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიაში, სასახლის ქუჩაზედ, სათავად-აზნაურო ქარვასლაში. (უ.)

ტფილისის კერძო სამკურნალო
მკურნალის
მიხეილ გედევანიშვილისა
ავადმყოფებს იღებენ ყოველდღე
კვირა დღეების გარდა
დილით:

ვ. ი. ჩიჩინაძე.—კბილის სნეულებანი. 8—10 საათ.

გ. გ. მაღალაშვილი—შინაგანი —9—10 საათ.

დ. ქ. ერისთავი—სადოსტაქრო (საქირურგიო). 10—12 საათ.

ნ. ტ. მუღინი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—10½—12 საათ. (ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით).

ა. ნ. შატილოვი—თვალისა 12—1 საათ.

ნ. ზ. შიუკაშვილი.—ბავშვებისა (ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით)—12—1 საათ.

ვ. ლ. მარკევიჩი—12½—1½ სადოსტაქრო.

ი. დ. ბეგთაბეგოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—1½—2 საათ.

მ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—1—2 საათ.

ქ. ი. ბძელიშვილი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—2—3 საათ. (სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით).

საღამოთი:

დ. ა. გედევანიშვილი—შინაგანი და ბავშვებისა—5—6 საათ.

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

ს. ი. ვაჩაძე.—შინაგანი და მასაჟი—6—7 საათ.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები და კაბინეტი ბაქტერიოლოგიურ და მიკროსკოპიულ გამოკვლევათათვის.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ., დანარჩენი—მორიგებით.

კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

დირექტორი სამკურნალოსი მ. ა. გედევანიშვილი

ექიმი
ი. ს. გძელიშვილი
მიიღებს
ყელისა, ცხვირისა და ყურით
ავადმყოფებს.
დილ. 9—11 ს., საღამოზე 5—7 ს.
მიხეილის ქუჩა, ნემეცების ეკკლესიის პირდაპირ. Михайловская, противъ кирки.
(100—31—63)

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.
დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

უ. მ. ჩიქოვანი. 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასიანცი—დილის 11—12 ს. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

ი. ფ. პროტასევიჩი. 12—1 ს. ყურისა, ყელისა, ცხვირისა და გულის ავადმყოფობისა.

ა. პ. ქარაპეტიანცი 1—1½ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

ა. გ. გურკო. 1½—2 ს. შინაგანი და საშარდეს ავადმყოფობის.

საღამოობით:

ი. ფ. პროტასევიჩი. 5—6 საათ.

ა. ნ. შპაკოვსკი. 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა) ვენერიულისა და კანის ავადმყოფობისა.

ბ. ა. ნავასარდიანი. 7—7½ საათ.

ტ. ი. რუდენკო—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად, მიკროსკოპიულად და ბაქტერიოლოგიურად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

ო. ტ. არვანიტაკი—გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუკრის ყვავილს და გამართავს საქიმო გიმნასტიკას ექიმების დანიშვნით. მიმართონ 11—1 საათამდე.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана.*
Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.
(—1—წ).

## ახალი ამბავი

*** კავკასიის მთავარმართებელმა, სცნო-რა, რომ დიდის თოვლისა და ყინვის გამო მეტის-მეტად აიწია უსაჭიროეს ნაწარმოებთა ფასებმა და ამის მეოხებით ტფილისის ღარიბებს მცხოვრებთ ძლიერ გაუჭირდათ ცხოვრებაო, ჰბრძანა: მიეცეს ტფილისის გუბერნატორს 1,000 მან. გაჭირვებულთათვის დახმარების აღმოსაჩენად ან ფულის დარიგებით, ანუ ნაწარმოების მიწოდებითო; ამასთან ნაწარმოები ზოგს მუქთად მიეცემა, ზოგს-კი დაკლებულის ფასით. ეს ფული უკვე გარდაეცა გუბერნატორს, რომელიც გუშინ უნდა შესდგომოდა დახმარების აღმოჩენას.

*** ქალაქის გამგეობამ დაადგინა წინადადება მისცეს ბანკოს, რომ არჩეულ იქმნას აღმასრულებელი კომისია ღარიბთათვის შეშის უფასოდ დასარიგებლად.

*** კავკასიის მთავარმართებელმა 100 მან. შესწირა მასწავლებელ ქალთა საზოგადოებას ღარიბ ბავშვთათვის შობის ხის გასამართავად.

*** 14 დეკემბერს მოხდა მეაბრეშუმეთა მეოთხე სხდომა, რომელმაც საჭიროდ სცნო, საჩქაროდ იქმნას დაწესებული სავალდებულო ზედამხედველობა კავკასიაში სახმარ აბრეშუმის თესლზედ.

*** ქალაქის მცხოვრებთა საჩივრებმა ადგილობრივ ვაჭრებზედ, რომელთაც თითქმის ყველა უსაჭიროესი ნაწარმოები გააძვირეს, აიძულა ქალაქის გამგეობა და პოლიცმეისტერი წინადადება მიეცათ სავაჭრო-სამეურნეო და საზოგადო პოლიციისათვის, ზედამხედველობა გააძლიერეთ, რომ ვაჭრება დაწესებულ ნიხრზედ მეტი ფასი არ გარდაახდევინონ მცხოვრებთაო.

*** დღეს, საღამოს 8 საათზედ, მოხდება კავკასიის სამეურნეო საზოგადოების წევრთა სხდომა, რომელიც განიხილავს: 1) მიმდინარე საქმეებს, 2) მოხსენებას იმის შესახებ, რომ დაწესებულ იქმნას სავალდებულო ზედამხედველობა აბრეშუმის თესლზედ და 3) ი. გ. ალიბეგოვის აზრს ამავე საგნის შესახებ.

*** გუბერნიის ბეითალმა მოახსენა, ვისაც ჯერ არს, რომ საქონლის ჭირი გორის მაზრაში ტფილისიდგან არის შეტანილიო; ამ ჭირთან ბრძოლა მეტად ძნელი ჰხდება, რადგან თოვლისა და ყინვის გამო ზოგიერთს დასახელებულ მთა გორიანს ადგილებში შეუძლებელია მიმოსვლაო.

*** როგორც ისმის, შინაგან საქმეთა სამინისტროს განკარგულება მოუხდენია, რომ ტფილისის გუბერნიაში 14 ბეითალი იქმნას გაგზავნილი შტატის გასაძლიერებლად.

*** ტფილისის სამკურნალო გამგეობის განკარგულებით სიღნაღისა, თელავისა და თიონეთის მაზრების ყვავილის ამცრელთ დაეგზავნათ ყვავილის ასაცრელი ლიმფა ამ ადგილების მცხოვრებთა უფასოდ ასაცრელად.

*** ტფილისის გუბერნატორმა მთავარმართებელს წარუდგინა ახალქალაქის თვითმმართველობის შუამდგომლობა იმის შესახებ, რომ ამ ქალაქს შემწეობა დაენიშნოს ხაზინიდგან პოლიციის შესანახად. ამასთან გუბერნატორმა შეატყობინა მთავარ-მართებელს, რომ ქალაქის სავალდებულო ხარჯთა შორის, მხოლოდ ჯარის ბინების დასაქირავებლსა და სატუსაღოს გასათბობ-გასანათებელ ხარჯებს უნდება ქალაქის ყველა შემოსავალიო. სახეში უნდა მივიღოთ აგრეთვე ისიც, რომ ქალაქის პოლიციის მოხელეთ ყველგან ხაზინა ინახავს და ახალქალაქში კი პოლიციის ბოქაულისა და მისის თანაშემწის შენახვა, რომელიც 1230 მან. ჯდება, მთლად ქალაქს აწევს კისრადაო. ყოველივე ამის გამო გუბერნატორი საჭიროდ სცნობს, რომ ახალქალაქის პოლიციის შენახვაც ხაზინამ იკისროს.

*** ტფილისის ცხენის რკინის გზის წარმოების საქმე ყოველის მიწერ-მოწერითა და უსახელო საზოგადოებასთან დადებულ ხელშეკრულობითურთ განსახილველად გადაეცა ქალაქის საქმეთა საგუბერნიო საკრებულოს.

*** სიღნაღის ქალაქის მამასახლისი შუამდგომლობს ტფილისის საგუბერნიო მთავრობის წინაშე იმის შესახებ, რომ ქ. სიღნაღს ხაზინიდგან შემწეობა დაენიშნოს მომავალ სამის წლისათვის (1901—1903) ჯარისათვის ბინების დასაქირავებლად ყოველ წლივ 1,500 მან. და აგრეთვე იმის შესახებ, რომ ქალაქი განთავისუფლებულ იქმნას ადგილობრივის სატუსაღოს გასათბობ-გასანათებელ და ტუსაღთა შესანახ სხვა ხარჯებისაგან.

*** ერთს კვირაზედ მეტია, რაც ბათუმში ნამდვილის ზამთრის დარები სდგას. ასეთ ხანგრძლივ ზამთარს ბათუმში ამ უკანასკნელ ათის წლის განმავლობაში ჯერ არ მოსწრებიან.

*** საერო განათლების სამინისტროს დაუდგენია ნება დართულ იქმნას თელავის საქალებო საშუალებლის გადაკეთება საქალებო პროგიმნაზიადაო.

*** ნავთის მილი ხაშურსა და ბათუმს შუა, როგორც ისმის, მოქმედებას დაიწყებს მომავალ წლის იანვრიდგან.

*** შინაგან საქმეთა სამინისტრომ საყოველთაო მოწერილობით წინადადება მისცა კავკასიის გუბერნატორებსა და ოლქის უფროსებს, წარმოგვიდგინეთ ცნობები იმ ღონის-ძიებათა შესახებ, რომელთაც ჰხმარობთ გუბერნიებსა და ოლქებში მათხოვრობის წინააღმდეგაო.

*** „კავკ.“ პეტერბურგიდგან დეპეშით აუწყებენ, რომ ივლისში შემოღებულ იქმნება კავკასიაში სამთო წესდება მაღაროებში მუშაობისა და ამ მუშაობაზედ მთავრობის ზედამხედველობის შესახებ.

*** მთავრობის განკარგულებით, ქუთაისისა, შორაპნისა, ლეჩხუმისა, სენაკისა და ოზურგეთის მაზრებში იმ კერძო კაცთა უძრავი ქონება, რომელზედაც დარჩენილია საადგილ-მამულო და სავაჭრო-სამრეწველო ორ პროცენტიანი გარდასახადი, საჯაროდ გაიყიდება, როგორც-კი მამულების სია და დაფასება შედგენილ იქმნება („ცნობ. ფ.“).

*** გაზ. „კასპის“ სიტყვით, 11 დეკემბერს ქ. ბაქოში ექვსი ბოროტ გამზრახველი თავს დასხმია ვაჭრის ს. არზუნოვის სახლს. სამი მათგანი შევარდნილა საწოლ ოთახში, სადაც დახვედრიათ არზუნოვი თავისი ცოლითურთ. ბოროტ-გამზრახველნი ხანჯალ ამოღებულნი დასდგომიან თავს არზუნოვს და მოუთხოვნიათ, გვაჩვენე, სადა გაქვს ფულიო. ქალს შიშისაგან გული წასვლია. როცა ბოროტ-გამზრახველნი დარწმუნებულან, სახლის პატრონს არა ჰსურს ფულის ჩვენებაო, ერთს მათგანს უძგრია ხანჯალი და არზუნოვი მარცხენა გვერდში დაუჭრია. არზუნოვს ნება უნებურად ხანჯლისთვის ხელი მოუვლია და ზედ შეუჭრია. დანარჩენი სამი ბოროტ-მოქმედი შეცვივნულან ბავშვების ოთახში და იქ ყმაწვილების მომვლელ დედაკაცისათვის ჯერ ყელში წაუჭერიათ ხელი და პირიდგან სისხლი უდენინებიათ, შემდეგ პირი აუხვევიათ და საწოლ ქვეშ შეუგდიათ. დედაკაცს მაინც მოუსწრია დაკივლება, რომლის გაგონებაზედ სახლში მეზობლები შემოცვივნულან, მაგრამ ბოროტ-მოქმედთ გაქცევა მოუსწრიათ, წაღებით-კი არაფერი წაუღიათ. ერთი ხანჯალი დარჩენიათ.

*** პეტერბურგიდგან „ტფ. ფ“. აცნობებენ, რომ გზათა სამინისტროში სხდომები კახეთისა და ალაგირის რკინის გზების გაყვანის შესა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხებ დაიწყება ამ თვის მეოცე რიცხვებშიო.

*** დუშეთის მაზრის სოფ. ქველი-მთლის მცხოვრები ივ. მორბელაძე გაყინული ნახეს თავისის სოფლის მახლობლად.

*** 14 დეკემბერს ცნობილმა კაპიტალისტმა მანთაშევმა 5 ვაგონი ნავთი შესწირა ქალაქს იმ პირობით, რომ ეს ნავთი ქალაქმა ტფილისის ღარიბ მცხოვრებთ მიჰყიდოს გირვანქა $2^1/_2$ კაპ.; ხოლო აღებულ ფულით იყიდოს შეშა და ნახშირი და უფასოდ დაურიგოს შეუძლებელთ.

ტფილისის ვაჭარმა ტერ აბრამიანცმა წინადადება მისცა ქალაქის გამგეობას: უსასყიდლოდ მივიღებ რკინის გზიდგან და ჩემ საწყობში შევინახავ მანთაშევის-მიერ შეწირულ ნავთს და უსასყიდლოდვე გადავზიდავ, სადაც მიჩვენებთო.

ქალაქის გამგეობამ დაადგინა გაჰყიდოს ნავთი გირვანქა $2^1/_2$ კაპ. შემდეგს ადგილებში: 1) ნავთლუღში, რეიტერის ქუჩაზედ, წყლის მილთან; 2) კახეთის ქუჩაზედ, სავაჭრო პოლიციის კანტორაში; 3) ჩუღურეთში, წმ. ნიკოლოზის ეკკლესიის მახლობლად, წყლის მილთან; 4) ავჭალის ქუჩის მოედანზედ, წყლის-მილთან; 5) ნაძალადევში, წყლის მილთან; 6) დიდუბეში ქალაქის მეორე ღამის-სათევ თავშესაფარში; 7) ოლგისა და წყნეთის ქუჩების კუთხეში, წყლის მილთან; 8) მამადავითის მოედანზედ, წყლის მილთან; 9) მუხრანის ქუჩაზედ, წყლის მილთან; 10) თათრის მოედანზედ, ქალაქის საბწორთან და 11) ვორონცოვის ქუჩაზედ, ჩითახოვის ქარხნის პირდაპირ. მსურველს შეუძლიან იყიდოს არა უმეტეს ოთხის გირვანქისა.

---

## ჩვენი საჭირ-ბოროტო კითხვები.

### წერილი პირველი

არიან წუთნი, როდესაც ხალხს მტრის მახვილი კი არა, მტრის ძალა კი არა,—თავისი უმოქმედობა, თავისი პასსივური ყოფნა, თვალების დახუჭვა წინაშენ მომდგარი გარემოებისა უღებს მას ბოლოს, უსპობს ცხოვრებას.

ათასი საუკუნის განმავალობაში შეუდარებელი გმირობით დავიცვეთ ჩვენი თავი და ჩვენი ქვეყანა ყოველმხრივ მომდგარი შეუწყნარებელი მტრის მოსევისაგან. მტრის მახვილი, მუდამ და შეუწყვეტლივ მრისხანედ შემართული ჩვენს თავზედ, უმაგალითო გმირობით ავირიდეთ თავიდამ და დღეს დაეშვა იგი ძირს, შეიქნა უძლურ მოუღოს თავისი ალმასი პირით ბოლო ყოფნასა ჩვენსა. ათასთა საუკუნეთა განმავალობაში ვარჯიშმა მოსისხარ ბრძოლის საქმეში გაგვამზადა იმგვარი ბრძოლისათვის და კიდეც გავიტანეთ თავი. მაგრამ, ნაცვლად სისხლთა მღვრელი მახვილისა, აღიმართა ჩვენს თავს სხვა ძალა, რომელიც არის ჩვენთვის საქმე ახალი, რომლისაც საბრძოლველად, ჩვენდა სამწუხაროდ, არ ვიყავით გამზადებულნი, და მიტომ ამ საქმეში აქამდის ვიჩინეთ თავი ძლიან ნაკლებათ. ძალა ესე, უძლიერეს ყოვლისა მახვილისა, ემუქრის არამც თუ ჩვენს სიცოცხლეს, არამედ სიცოცხლეს ყოველი კაცობრიობისა, რომელიც არ ამოეფარება ამ ძალის კალთას, არ გახდება მისი მალსარებელი, არ მიიღებს მის მოძღვრებას, არ შეუდგება მისს გზას, არ დაიჭერს მისთა სადავეთა ხელთ. ეს ძალა არის „ბრძოლა ცხოვრებისათვის“, და საღსარი ამაში თავის გატანისა არის სწავლა-განათლება, ეკონომიური ძლიერება. აი, სწორეთ ჩვენ გვაკლია ეს უძლიერესი საღსარი თავის დაცვისა, ჩვენა ვართ სწავლა-განათლებაში და ეკონომიურად იმდენად უკან ჩამორჩენილნი სხვა ეროვნებაებსა და ქვეყნებზედ, რომ ამათი უქონლობა უქადის ჩვენს საბოლოვოს, ჩვენს სიცოცხლეს, ჩვენს ამ ქვეყნად არსებობას, და გვხდის ლუკმად იმ ერთა, რომელთაც ჩვენზედ მეტად შეუძენიათ ერთიცა და მეორეცა. უმაღლესი და უწმინდესი კაცთ-მოყვარული მოძღვრება, რომელიც ჰქადაგებდა საერთო სიყვარულს, მთელი ქვეყნის ერთობას, ძმობას და თანასწორობას, დღეს იქნა გათახსირებული, გადელობა მას მოძღვრება სრულიად წინააღმდეგი მისი. საშინელი და შეუბრალებელი კანონი, რომელიც წარმოსთქვა და ბრმათ მომქმედი ბუნებიდამ გადიტანა გონივრებით სავსე კაცზედაც, ინგლისის სახტიკმა მეცნიერმა დარვინმა: ერთმანერთის ცარცვით, ერთმანერთის შთანთქმით, ერთმანერთის წამებით, ერთმანერთის ცარცვით, ერთმანერთის სისხლის წოვნით იბადება მომავალი კაცობრიობის ბედნიერება, უსასტიკესად სრულდება დღევანდელი მოწინავე ერების ხელით და მოძღვრება იგი თითქმის ცხადათ ჰქადაგებს: ვაი თქვენდა, ვინცა ხართ უძლურნი! ვაი თქვენდა, ვინც არა ხართ შეჭურვილნი ყოველი იმ სახსრით, რომლითაც შეიძლება ბრძოლა შენზედ მომდგარი შენს შთანსათქავად გაღებული პირისა!.. ამას მოსძახა ბანი და ბანი თავისებური ავაზაკობის მქადაგებელმა გერმანელთა ფილოსოფოსმა ნიცშემ, რომელმაც საქვეყნოთ აღიარა, რომ მონობა და სატანჯველი კაცისა ჰშობავს მომავალს ბედნიერებასა და ჰბადებს კაციდამ კაცთ უზენაესს არსებასაო!..მართლა იბადება თუ არა ამ ერთმანერთის ბრძოლით და შთანთქმით მომავალი კაცის ბედნიერება, ან მართლაცა და ამ ბრძოლაში გამოდის ძლეველი უკეთესი არსება და ისპობა უარესი, თუ პირიქით, ძლეული რჩება უფრო უკეთესი და მძლეველი უარესი, მე ამაზედ მქონდა კარგად ვრცლად ლაპარაკი ჩემს წერილებში; „კაცობრიობა და ეროვნება“, რომელნიც იყვნენ დაბეჭდილნი ამ რამდენიმე წლის წინათ გაზეთს „ივერიაში“, და აქ დღეს კი ამაზედ ლაპარაკის გაბმას ამ წერილის აზრი არ მოითხოვს. ჩვენ მხოლოდ გვმართებს ამ ფაქტის ჩვენება. და ფაქტნი გვეუბნებიან მას, რომ დღეს ეს ძალა შეიქმნა უძლიერესი ფაქტორი ცხოვრებისა. აღიარეს ეს მრავალთა მეცნიერთა, და ამას სტაცეს ხელი უძლიერესთა და მძლავრთა თვისი მძლავრობისა და უსამართლოების გასამართლებლათ, დასდეს თავის უსამართლობას და მძლავრობას ბეჭედი მომავალი ბედნიერებისა, და ვაი მას, ვინც არ არის გამზადებული დაუხვდეს მზად ამ ერთმანერთის ყლაპვას, ერთმანერთის შთანთქმას, ერთმანერთის მუსრს! შთანთქმა იარაღით, შთანთქმა სწავლა განათლებით, შთანთქმა ეკონომიური ძალით! აი დევიზი დღევანდელი ცხოვრებისა, რომელიც თუმცა ხდებოდა ძველათაც, მაგრამ არა სახითა მეცნიერებისათა,—ხდებოდა ბრმათ, ხდებოდა მიტომ, რომ ეს მოსდგამდათ წინაპართა პირუტყვული მდგომარეობიდამ, და ეს თავისი არაკაცური საქციელი მაინც კაცურ საქმეთ არ მიაჩნდათ და არ აღიარებდნენ ამას კაცთათვის კანონად, არ აძლევდნენ მეცნიერების სახეს. დიახ! ეს გახდა დღევანდელი მძლავრებისა და გაიძვერაობის დევიზი *).

ჩვენ?! ჩვენ გავხდით კრავი შესაწირავი ამ დევიზისა. როგორც ზემოთაც ითქვა, აქ დაცვა და გატანა თავისა შეიძლება მხოლოდ სწავლა-განათლებით, ეკონომიური გაძლიერებით, და ჩვენ-კი ყველამ გაგვასწრო ამ საქმეში ერთი ათად, ერთი ასად, ერთი ათასად ჩვენ ჩამოვრჩით აქ სხვა ეროვნებათა! დღევანდლამდის მახვილსა მახვილით ვსცემდით პასუხსა, და ცხოვრების სადსრად გვქონდა ჩვენი ძვირფასი მამული, რომელზედაც, როგორც მგაბიონი იტყვიან, ღვთის კალთაა ზედ დაბერტყილი. დღევანდელი ცხოვრების საბრძოლველად ჩვენ ნუგეშად ეს ლა გვქონდა დარჩენილი, ამაზედ ვამყარებდით ჩვენს დღევანდელსა და ხვალანდელს ძალასაც ამ ცხოვრებაში ბრძოლისათვის, და რა იქნა ესეც, რომელსაც ათასი საუკუნეების განმავალობაში უმაგალითო გმირობით იცავდა ჩვენი ერი, რომლისაც ყოველი ბიჯი მორწყო ამ ერმა თავისი სისხლით, გაპოხიერა თავისი ძვლებით?!.. ესეც გაჰქრა, წავიდა და მიდის ჩვენის ხელიდამ.

მაგრამ, რაც უნდა გაუმზადებელი ყოფილიყო ჩვენი საზოგადოება ახალი ცხოვრების ძალის ასაწონათ და მისი კანონების დასანახათ, რაც უნდა მოქანცული ყოფილიყო წარსული შეუწყვეტელი ბრძოლით, არ შეიძლებოდა შიგ არ გაეხილნათ თვალი...

და წამალიც ამისი იყო სწავლა-განათლება, ეკონომიურათ გაძლიერება.

მაგრამ სად იყო ამისი საღსარი! გლეხკაცობა იყო უკანასკნელებამდის მისული ბატონ-ყმობით, მებატონენი იყვნენ დანდობილნი მარტო გლეხთა შრომაზედ, და ეს ეცლებოდათ ხელიდამ, აღებმიცემის ხალხი ჩვენ არა გვყავდა, აქ სახელოვანმა დიმიტრი ყიფიანმა და მისთა სახელოვანთა თანამოზიარეთა: კონსტანტინე და იოსებ მამაცაშვილთა, ივანე მალხაზის ძე ანდრონიკაშვილმა და სხვათა უჩინეს რაოდენიმე საღსარი ამისი. ეს იყო ფული, რომელიც ეძლეოდა თავად-აზნაურობას ყმების განთავისუფლებისათვის. ამ ფულის ნაწილიდამ დაარსდა თავად-აზნაურთა ბანკი, და რა სამსახურიც გაუწია ამ საქმემ სწავლა-განათლებას და სხვა საზოგადო საქმეთა, ჩვენ სხვაგანაც გვითქვამს და მკითხველსაც ეცოდინება. ამის გარდა, შეუდგნენ ხალხში სწავლა-განათლების გავრცელების საქმეს იოსებ მამაცაშვილი, ამირინდო ამილახვარი, შესდგა წერა-კითხვის საზოგადოება, რომელთაც საქმეს და მეცადინეობას სამწუხაროდ ათასი დაბრკოლება გადაეღობა გზაში; გამართა წერა-კითხვის საზოგადოებამ სასოფლო სასწავლებლები, გამართეს საკუთარის საღსრით ილია წინამძღვარიშვილმა სამეურნეო სასოფლო სასწავლებელი, ნიკოლოზ არღუთაშვილმა სამეურნეო განყოფილებით სასოფლო ორკლასიანი სასწავლებელი, და იქამდის გაცხოვლდა სურვილი სწავლა-განათლებისა, რომ გურულმა ხალხმა ყოველს თავის სოფელში დააწესა შკოლები და ბიბლიოთეკები და სხვა. მაგრამ შედარებით სხვა ხალხთა წარმატებისა სწავლა-განათლების საქმეში, ეს იყო ცვარი ზღვასთან შედარებითა. და ამასთან აქ რომ ეს მცირენი ასე მხნეთ იბრძოდნენ ქვეყნის განთავისუფლებისთვის, იქ ბევრნი ჩვენი მემამულენი ჰთქავდნენ თავის სვავ მუცელში მთელი თავისი ქვეყნის ქონებას, და მთელი ქვეყნის ბედს ანაცვალებდნენ თავისს ბუღალგმავს გაქსელულს ცხოვრებას. სწავლა განათლება იყო მეტად მცირე და ამასთან ქვეყანას ეცლებოდა ხელიდამ მაშულები, ერთად ერთი ეკონომიური ძალა, ურომლისოთაც არც სწავლა-განათლებას შეეძლო შენახვა თავისა... „ბრძოლა ცხოვრებისათვის“ უარესი რისხვით ატყდებოდა ჩვენს ქვეყანას თავს... ცხადია აქ კიდევ უფრო უნდა აეხილა თვალი ჩვენს საზოგადოებას. აქ დიდი და ცხარე ენერგიით აღიძრა ლაპარაკი თავად აზნაურთა კრებებზედ, რომ გაწერილიყო ფული სწავლა-განათლების წარმატებისთვის. გადასწყვიტა კიდეც ეს დიდი საქმე, როგორცა უეხდის, ეგრეთვე გუბერნიის კრებამაც, მაგრამ გზად გაჰქრა ის რაღაცა უხილავი ძალით და დავკარგეთ კვალი ამ გადაწყვეტილების მოგზაურობისა. სხვა საღსარი ამ საქმისათვის ჩვენ აღარ მოგვეპოვებოდა. და აი უცებ გამოვიდა უმაღლესი ბრძანება, რომ ფული, რომელიც შეიტანეს ბანკში თავად აზნაურთა ბანკის დამფუძნებელთა, უბრუნდებათ უკან. ამას მიჰმართა ჩვენმა საზოგადოებამ, როგორც ახალს საღსარს. ქუთაისის თავად-აზნაურობამ, მთლად საქებრად და სადიდებელად, გადასწყვიტა ერთ ხმივ, ეს ფული მოხმარდეს სწავლა-განათლებისავე საქმეს. თბილისის თავად-აზნაურთა ამაზედ ჯერ კრება არა ჰქონიათ, მაგრამ ის წერილები, რომელნიც იბეჭდებოდნენ ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში ამის შესახებ და მეტადრე სოფლელი თავადის ვასილ თაქთაქიშვილის წერილი, გვიმტკიცებენ რა ცხარე სურვილით შესძახიან ამ ფულის პატრონთ, რომ იგი მოჰხმარდეს ისევ სწავლა-განათლების საქმეს, როგორც წინადვე იყო ის გადადებული. მაგრამ ის, ასობით ხელმოწერილი ორ რიგი ქაღალდები, რომელნიც იბეჭდებიან ამავე ნომერში და რომელნიც იგზავნებიან ორ რიგი თავად აზნაურობისაგან გუბერნიის მარშალთან, გვიახვენ ცხადად, რომ ჩვენი საზოგადოება ჩაუგდია საგონებელს.

დიახ, ფხიზლობს საზოგადოება და ვალია მწერლობისა, ქვეყნის მოთავე კაცთა გაუძლვენ ამ საზოგადო სიფხიზლეს და უკვლიონ გზა იმ საღსრებისა, რომლითაც შეიძლებოდეს შობა უკეთესი მომავალისა.

ანტ. ფურცელაძე

*) აქ ერთი რამ არ შეიძლება არ შევნიშნოთ. უკეთუ მართლა ერთმანერთის ჭამა-წამება ჰბადებს მომავალს ბედნიერებას და სრულ ჰყოფს კაცს, მაშინ ბედნიერება ეს ერმანეთის ჭამა-წამება ყოფილა და სხვა არაფერი. აი რატომ: თუ ამაზედ არის დამოკიდებული მომავალი ბედნიერება, უკეთუ მოისპობა ეს უწყალო ერთმანერთის ჭამა-შთანთქმა, უნდა შესდგეს მომავალი ბედნიერებაც, რადგან საღსარი მომავალი ბედნიერებისა შესწყდა. მაშასადამე, ამ ახალი თეორიით, ბედნიერება ყოფილა ერთმანეთის მტრობა, ერთმანეთის გლეჯა, ერთმანერთის ტყუება, ერთმანერთის ჭამა, წამება, შთანთქმა, სიკვდილი, და სრული კაცი ისა ყოფილა, ვისაც უფრო გამოუვა ყველა ეს საზიზღრება ხელიდამ. განა ეს ბედნიერება კაცობრიობისათვის და დიდად ეთანხმება ნადვილს კაცთ-მოყვარეობას, ძმობას, ერთობას, თანასწორობას, რასაც ეტანება და მიებრძვის კაცის კაცური გული და გონება? განა კაცის გონება უნდა ისევ ბრმა ბუნების მიმდინარეობას მისდევდეს, და არა ჰმართავდეს თავის ცხოვრებას ისრე, როგორც ასწავლის თვისი კაცური მაღალი გონიერება, და არა ბრმა ბუნება?!

---

## განცხადებანი თავად აზნაურთა ღუბერნიის მარშალთან.

### 1

თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღვარს ქვემორე ხელის მომწერთა ბანკის დამფუძნებელთა წევრთა განცხადება

უმაღლესი ბრძანებით ბანკის დამფუძნებელთა უბრუნდებათ თავიანთი ფული უკან.

ეს ფული იყო შეტანილი ბატონ-ყმობის გადავარდნის დროს იმ აზრით, რომ შემდგარიყო ხაზინა თავად-აზნაურობისა, რათა ამ ფულით დაზრდილიყვნენ მათი შვილები და მიეღოთ სწავლა-განათლება.

უკეთუ ამ ნახევარ საუკუნის წინად ჩვენი მამები და ჩვენთაგან უხუცესნი სწირავდნენ სწავლა განათლების საქმეს ფულსა და ჰხედავდნენ, რომ უმაღლესი ძალა საზოგადო ცხოვრებისა და საზოგადო წარმატებისა არის სწავლა განათლება,—ამას უფრო უნდა ჰხედავდეს და ჰგრძნობდეს ახალი თაობა, რომლისაც თვალის წინ ჰქრებიან მთელნი რასანი კაცობრიობისა იმ ხალხებთან შეხლით, რომელთაც შეუძენიათ სწავლა და განათლება, რომელთაც ძალას და ძლიერებას ემონებიან არამცთუ ამაზედ სწავლა-განათლებით დაბლა მდგომნი ხალხნი, არამედ თვით სტიქიონნი, თვით უძლიერესნი და უსაიდუმლოესნი ბუნების მოვლენანი.

როგორც თავად-აზნაურობა, ისრე დანაშთენი ქართველობა თითქმის მთლად ერთიანად შესდგება სოფელში მცხოვრები ღარიბი ხალხისაგან. ყველა სასწავლებლები-კი არიან ქალაქ ადგებში, და ქალაქებში შვილების შენახვა და აღზრდა ღარიბი სოფლელი ხალხისთვის ყოვლად შეუძლებელია. არამცთუ სოფლელი ქართველი ხალხი, და თვით ქალაქში მცხოვრები ქართველობაც მოკლებულია ღონეს, რომ თავის შვილებს მისცეს სწავლა-განათლება, რადგან ისინიც შესდგებიან ღარიბ-ღატაკი ხალხისაგან. ჩვენს სიღარიბეს და მას, რომ სასწავლებელნი არიან ჩვენგან შორს, დაერთო ისიც, რომ შემოიღეს სასწავლებელში მისაღებათ საკონკურსო ეგზამენები, და აქ სრულიად შეგვეკრა გზა, რომ ჩვენთა შვილთა მიიღონ სწავლა სახელმწიფო სასწავლებლებში, რომელნიც, ცხადია, რჩებათ ქალაქებში მცხოვრებს შეძლებულს ხალხს, რომელთაც საკონკურსოთ ხელს უწყობს ყოველი გარემოება: შეძლება, სასწავლებლების და მასწავლებელთა ახლო ყოფნა, სიიაფე მასწავლებელთა და სხ.

დღევანდელს მომქმედს თაობას არ შეიძლებოდა არ დაენახნა, რომ, ამგვარს გარემოებაში ჩაცვივნულნი, ჩვენ უძლურნი ვიყავით დაგვეხსნა თავი უშვერების სიბნელეთიდამ. და ამავე დროს, რაც ხანი გადის, იმდენი უფრო უკან და უკან მიდის ჩვენი ერისა ეკონომიური, გონებრივი და თვით ზნეობრივი და ფიზიკური ძალა, რაკი აკლია ჩვენს ხალხს განათლებული და მეცნიერებით გამ-

ხადებულნი კაცნი. და ცხადია, უკეთუ კიდევ ხანს გასტანს ამგვარი გარემოება, არამცთუ საიმედოთ აღარა რჩება ჩვენი მომავალი, არამედ იმის დღევანდელს ბრძოლაში ცხოვრებისათვის, ემუქრის იმისთანა განსაცდელი, რომელსაც ძნელათ თუ გადურჩება რომელიმე ერი, რომელიც მოკლებულია სწავლა-განათლებას და არა რის ეკონომიურათ გაძლიერებული.

ამ გაჭირვებას და განსაცდელს, რომელიც მოგვდგომია კარს, არ შეძლება არ შთაეგონებინა ყველა ჩვენთაგანისთვის, რომ ყველას ჩვენთაგანს ვალად აწევს, ეცადოს ყოველი თავისი ღონითა და ძალით გადაარჩინოს თავისი მომავალი ამ განსაცდელს და გამოსძებნოს სახსარი შვილების სწავლა-განათლების საქმისთვის.

ამ გარემოების მიზეზით ჩვენ ვაცხადებთ შემდეგს.

1, იმ ფულს, რომელიც უმაღლესის ბრძანებით გვიბრუნდება ჩვენ ბანკიდამ, სრულიად ვსწირავთ სათავად აზნაურო ხაზინას, იმ პირობით, რომ ამ ფულიდამ დადგინდეს სათავნო, რომლისაც მოგებიდამ უნდა იზრდებოდნენ შვილნი იმ თავად-აზნაურთა რომელნიც ამ სათავნოს შესწირამენ სრულებით იმ ფულს, რომელიც უბრუნდებათ ბანკიდამ და რომელიც შეხვდებათ მათ იმ წარდგენილებაების ძალით, რომელნიც შესდგნენ თავად-აზნაურთა კრებათაგან 1864—65 წლებსა, ანუ რასაც შემდეგში დაარდგენს თავად-აზნაურთა კრება.

2, ვიდრე გუბერნიის თავად-აზნაურთა კრება გასწყრდეს ფულს თანახმად მე-IX ტ. 152 მუხლის 1—სა შესარდგენათ თავად-აზნაურთა ხაზინისა, ეს ფული მიეცეს სესხათ % თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოებას, რომელიც არის შემდგარი დასახმარებლად ღარიბთა მოსწავლეთა, იმ პირობით, რომ ამ ფულის სარგებელი მოჰხმარდეს მათი შვილების აღზრდას, ვისაც შემოუტანია ე ფული, ან მიემატოს იმ სათავნოს, რომელიც შესდგება ამ ფულიდამ.

3, უკეთუ ორი წლის განმავლობაში არ დაარდგენს გუბერნიის თავად-აზნაურთა კრება, რომ თანახმად მე-IX ტ. 152 მუხ. 1 პ-სა, შესდგეს საერთო სათავად-აზნაურო ხაზინა სწავლა განათლების სასარგებლოდ, მაშინ ეს ფული გადაეცეს ზემოთ ხსენებულს თავად-აზნაურთა საზოგადოებას, შემდგარს ღარიბთა მოსწავლეთა დასახმარებლად, იმ პირობით, რომ: პირველი, სარგებელი ანუ მოგება ამ ფულისა მოჰხმარდეს აღსაზრდელად მათ შვილთა, რომელთაც შემოუტანიათ ეს ფული, და მეორე, უკეთუ დაიკეტა ეს საზოგადოება ან მოისპო რამე მიზეზით, ეს ფული დაგვიბრუნდეს ჩვენ ან ჩვენთა მემკვიდრეთა კვალად სწავლა განათლების საქმეში მოსახმარებლათ.

4, უკეთუ შესდგება თავად-აზნაურთა საერთო ხაზინა სწავლა-განათლების საქმისათვის, შესდგეს კომისია, რომელსაც მიენდოს, აღმოაჩინოს ისეთი საქმე, რომ ამ ფულმა რაც შეიძლება მეტი მოგება და სარგებლობა მოგვცეს, რათა უფრო მეტი ყმაწვილების აღზრდა შეიძლებოდეს!

გთხოვთ ამ ქაღალდის პირი გადასცეთ თბილისის თავად-აზნაურთა ბანკის ზედამხედველს კომიტეტს და მმართველობას.

2.

მათს ბრწყინვალებას თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღვარს ქვემორე ხელის მომწერთა თავად-აზნაურთა, რომელნიც არ არიან წევრნი-დამფუძნებელნი ბანკისა.

თბილისის თავად-აზნაურთა ბანკის დამფუძნებელნი თავიანთს ფულს, რომელიც უბრუნდებათ უმაღლესის ბრძანებით, სწირამენ საზოგადო თავად-აზნაურთა ხაზინის შესადგენათ, რათა ამ ფულით მიეცეთ სწავლა განათლება მათს შვილებს.

რადგან ყოველი გარემოება და საქმენი გვარწმუნებენ, რომ ჩვენი ხსნა უმთავრესად არის დამოკიდებული სწავლა-განათლებაზედ, გვსურს, ჩვენც მივიღოთ მონაწილეობა ამ საქვეყნო საქმეში. ამის გამო ვთხოვთ თქვენს ბრწყინვალებას, რომ პირველსავე მორიგს გუბერნიის თავად-აზნაურთა კრებაზედ შეიტანოთ წინადადება, რათა თანახმად მე-IX ტომ. 152 მუხლის 1 პ-სა შესდგეს გარდაწყვეტილება საერთო თავად-აზნაურთა ხაზინის შესარდგენად სწავლა-განათლების საქმისათვის, და გაიწეროს საყოველთაოდ ფული, რომ ამ ფულით შესდგეს იმოდენი ფონდი მაინც, რომ მის მოგებით ან სარგებლით შეიძლებოდეს აღზრდა იმ თავად-აზნაურთა შვილებისა, რომელთაც თვითონ არა აქვთ შეძლება მისცენ თავიანთს შვილებს საჭირო სწავლა-განათლება.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**ს. პატარძეული.** 24 ღვინობისთვეს პატარძეულში აკურთხეს წიგნთ-საცავი და სამკითხველო, დაარსებული პატარძეულის გლეხის პავლე ყუშიტაშვილის მიერ. საყურადღებო ის არის, რომ ამ პავლე ყუშიტაშვილს არამც თუ სწავლა მიუღია სადმე, წიგნის კითხვაც კი ამ ბოლო დროს შეისწავლა თავისის მეცადინეობით, და სულ იმასა ცდილობს ვის რა კარგი, რა სიკეთე დასთესოთ და სხვ. ეს სამი წელიწადია, რაც ცდილობდა პავლე თავისს სამშობლო სოფელში წიგნთ-საცავის დაარსებასა და კიდევაც დაიმთავრა საქმე. იყიდა საუკეთესო ადგილი,ააშენა კოხტა ოთახი, მოაწყო ულამაზესი საჭირო ნივთებით, დაჰკიდა შიგ ყველა ჩვენ გამოჩენილ მოღვაწეთა სურათები, გაუმართა ამ ზამთარს ფეხი, და ხალხიც დიდის სიამოვნებით დადის იქ, გააქვთ წიგნები ან იქვე კითხულობენ. ხალხი ბლომად დაესწრო სამკითხველოს კურთხევას. აქაური აზნაურნი და გლეხები, დაპატიჟებული ხალხი ახლო-მახლო სოფლებიდგან და ქალაქიდგან თითქმის საღამოს ათ საათამდის ისხდნენ სადილზედ, ბევრი კარგი სიტყვა წარმოითქვა და ყველანი მადლობას უცხადებდნენ წიგნთ-საცავის დამაარსებელს. ამ უკანასკნელმა თითონაც ილაპარაკა და მისი სიტყვებიდგან ის აზრი გამოდიოდა, რომ ის კიდევ ბევრის კარგის საქმის გაკეთებას აპირებს თავის სამშობლო სოფლის სასარგებლოდ.

შემოწირულება წიგნთ-საცავის სასარგებლოდ სადილზევე დაიწყეს და იმედია ამის შემდეგაც უყურადღებოდ არ დასტოვებს საზოგადოება ამ კეთილს დაწესებულებას, მით უფრო, რომ შემძლებელი და შეძლებული კაცებით არც ისე ღარიბი ვართ. პავლე ყუშიტაშვილი არც დიდი შეძლების პატრონია, მაგრამ სოფლისთვის-კი ზრუნავს. მან თავისი შრომით სიუხვეღილითვე შეიძინა იმდენი, რომ ცდილობს შვილებს განათლება მიაღებინოს, ერთი ლუკმა პური თითონაც ჰქონდეს საკვდილამდის და ამასთანავე, რაც შეეძლება იმას ქონებას, სიკეთე გაუწიოს ხალხს. აი, ეხლაც სასმელი წყალი არა აქვს პატარძეულის ერთს უბანს, და პავლე ცდილობს ხელის მოწერით და საზოგადოების შეწევნით გამოიყვანოს წყალი.

პატარძეულელი სონა

## უცხოეთი

**ინგლის-ტრანსვაალის ომი.**

როგორც გაზეთები იუწყებიან, ამ ცოტას ხანში მისულან სამხრეთ აფრიკაში ინგლისის მომქმედ ჯარის საშველად ექვსი ათასი სალდათი და 250 აფიცერი. ამათ გარდა გზაში არიან, თუ ეშზადებიან წასასვლელად 24,171 სალდათი და 702 აფიცერი. ასე რომ მომავალ იანვრისათვის ბრძოლის ველზედ ეყოლება ინგლისს ახლად მიგზავნილი 30,171 სალდათი და 952 აფიცერი. ჯარის კაცებთან გემებით იგზავნება 4912 ცხენი. ზემო ოღყვანილს ანგარიშში არ შედის მე-6 დივიზიის ერთი ნაწილი და მთელი მეშვიდე დივიზია—სულ 13 ათასი კაცი, რომელთა გაგზავნასაც აპირებს მთავრობა აფრიკაში. ეხლა მთავრობას დაუქირავებია მსწრაფლ-მავალი გემები, რომელთაც 20 დღეზედ მეტი არ უნდა მოანდომონ ინგლისიდგან სამხრეთ აფრიკაში მისვლას.

ზოგიერთ გაზეთების სიტყვით, ინგლისის მთავრობა დარწმუნებულა, რომ ბურების ზარბაზნება, რომლებიც გერმანიის ქარხნებში არის გაკეთებული, ჩვენსას სჯობიაო, და თითონაც შეუკვეთნია გერმანიის მექარხნეებისათვის დიდძალი ყუმბარები.

— ხმა დადის, ვითომც ინგლისის დედოფალი მოწადინებული იყოს ტრანსვაალთან ომი შესწყვიტოს ინგლისმა და ჩემბერლენი სამის თვით დასვენებას აპირებდეს, ე. ი. სამსახურის დატოვებას. როგორც ვიცით, ინგლისის შინაურისა თუ გარეშე პოლიტიკის ხელმძღვანელი ესა თუ ის დასია ხოლმე, რომელსაც სამინისტრო აბარია და დედოფალს იქ დიდი უფლება არა აქვს ქვეყნის მართვა-გამგეობაში, მაგრამ, რაც უნდა იყოს, იმას მაინც შეუძლიან გავლენა იქონიოს თავისს მინისტრებზე, მით უფრო, რომ იმას ნათესაობრიული კავშირი აქვს ევროპის მრავალ სამეფო სახლთან. ტრანსვაალის მხრივაც, როგორც წინადაც აცხადებდნენ გაზეთები, წინააღმდეგნი არ არიან ომის მოსპობისა. ტრანსვაალის წარმომადგენელს ევროპაში ულაპარაკნია, რომ პრეზიდენტი კრიუგერი თანახმა მშვიდობის ჩამოგდების შესახებ მოლაპარაკებაზედ უარს არა სთქვამს, თუ ინგლისის მთავრობა არ მოითხოვს, რომ უიტლანდიორებს იმ უფლებაზედ მეტი მიენიჭოთ, რაიცა ომის გამოცხადებამდის ჰქონდათო, და ინგლისი სამხედრო საზღაურს გადაიხდისო. წინადღეგ შემთხვევაში, ბრიუსელიდგან მოსულ დეპეშის სიტყვით, კრიუგერი და შტეინი (ორანჟის რესპუბლიკის პრეზიდენტი) კაპის ახალშენის ბურებს პროკლამაციით მიჰმართავენ,—შემოუერთდით თქვენს ძმებსო, და ორივე რესპუბლიკის მეზობლად მდებარე ადგილებს დამოუკიდებელ სახელმწიფოებად გამოაცხადებენო.

## დამაჯერი

დედაკაცი ისპანიურს სახლსა ჰგავს, რომელსაც კარი ბევრი აქვს და ფანჯარა-კი ცოტა. მათს გულში შესვლა ადვილია, მაგრამ იქ წაკითხვა რისამე—ძნელია.

ჟან-პოლ რიხტერი

* * *

ვინცა ამოკებს შუკას და არა სტომაქს, მაღლა გაიზრდების და მშვერმელ იქმნების.

ლასურიძე

## ჟურნალ-გაზეთებიდგან.

(ამოკრებილი ამბები)

როგორც უკანასკნელ სასტატისტიკო ცნობებიდგანა სჩანს, ამერიკის უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტებს შორის სტუდენტთა სიმრავლით ჩიკაგოს პირველი ადგილი უჭირავს. ამ უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტზედ 2.500 სტუდენტია. ჩიკაგოს ფილადელფია მოსდევს, რომლის უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტზედაც 2,300 კაცი ითვლება. შემდეგ ნიუ-იორკის უნივერსიტეტი—1900 კაცი, სენ-ლუის უნივერსიტეტი—1400, ბალტიმორის უნივერსიტეტში—1300 კაცია. სხვა უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტებზედ ნაკლები ხალხი სწავლობს.

* * *

ამა წლის ოქტომბრიდგან ბერლინის უნივერსიტეტის პროფესორებმა გამართეს ბერლინში უფასო სახალხო კურსები. როგორც გაზეთები იუწყებიან, კურსებს აუარებელი ხალხი ესწრება თურმე. პირველადვე კურსებზედ 3000 კაცი და ქალი ჩაეწერა. მეოთხედზედ მეტი ქარხნის მუშებია თურმე.

* * *

უპსალის უნივერსიტეტი მთელს შვეციაში თითქმის პირველ უნივერსიტეტად ითვლება. კარგა ხანია ამ უნივერსიტეტის სტუდენტებმა კავშირი დააარსეს ურთი-ერთ დასახმარებლად. დღეს კავშირს ნაღდი ფული 556,000 კრონი აქვს. უპსალში ამ ჟამად სტუდენტთა კავშირი საკუთარ სახლს აშენებს, რომლისთვისაც გადადებულია 425,000 კრონი. სტუდენტებმა ამ სახლს „შვეციის სტუდენტთა სასახლე“ დაარქვეს.

* * *

წარსულ სექტემბერს ამერიკის შტატ ლუიზიანში მკურნალობის ხარისხის მისაღებად ეგზამენი დაიჭირა ქ-ნ ემმა ვეკფილდმა—ახალგაზდა ზანგის ქალმა. ქ-ნი ვეკფილდი პირველი ზანგის ქალია, რომელსაც ამერიკაში მკურნალობის ნება მიეცა.

* * *

ამ რამდენისამე ხნის წინად პარიჟში კიდევ მკურნალობის დოქტორის ხარისხი მიიღო ერთმა რუსის ქალმა ანნა ჩებოლდაევამ. ამ ქალს სამაგალითო დისერტაცია დაუწერია თურმე, შემდეგის სათაურით: „რა გავლენა ჰქონდა რუსეთში სამკურნალო მეცნიერების განვითარებაზედ საფრანგეთის მკურნალობას“. რუსეთში დღემდის ის აზრია გავრცელებული, რომ სამკურნალო მეცნიერების განვითარებაზედ უფრო მეტი გავლენა გერმანიის მეცნიერთა და მკურნალთა ჰქონდათო, ქ-ნი ჩებოლდაევი-კი ამტკიცებს, რომ რუსეთზედ საფრანგეთის მეცნიერებს უფრო მეტი გავლენა ჰქონდათ, ვიდრე გერმანიისასაო.

## გამოსადეგი ცნობა

იმის გამოსაცნობად, ახალია თუ არა ქათმის კვერცხი, შემდეგს, მკვლადვე ნაცადს, საშუალებასა ჰხმარობენ. 16 მისხალს საჭმლის მარილს ჰხსნიან ერთს ბოთლს წყალში. თუ კვერცხი იმ დღის დადებულია და ამ მარილწყალში ჩაუშვით, ძირამდე ჩავა; თუ კვერცხი წინა დღისაა, ძირამდე ვერ მივა; თუ სამის დღის წინად არის დადებული, წყალს შუა ალაგას დაიწყებს ცურაობას. ერთის სიტყვით, რაც უფრო ძველია, მით უფრო მაღლა მოექცევა მარილ-წყალში.

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

15 დეკემბერი

**პრეტორია.** 5 დეკემბერი. „რეიტ. სააგენტო“. გენერალი ჟუბერი სრულიად განიკურნა. გენერალი ჯარში დაბრუნდა.

**კაპშტადტი.** 7 დეკ. „რეიტ. სააგ.“ ის ამბავი, ვითომ ბურებმა უწყალობის გამო სტრომბერგს თავი მიანებესო, არა მართლდება. გატეკრის ჯარში ავადმყოფობა ძლიერდება.

ჩიველეეს ბანაკიდგან დეპეშით იუწყებიან, რომ ინგლისელებმა საზღვაოსნო ზარბაზნებიდგან ყუმბარები დაუშინეს დღეს დილით საურმე ხიდს კოლენზოსთან და სრულიად დააქციეს იგიო.

**კაპშტადტი.** 8 დეკ. „რეიტ. სააგ.“ რამდენიმე სამხედრო კორესპონდენტი მოდდერო რივერიდგან აქ დაბრუნდა; ამის გამო ჰფიქრობენ, რომ მეტუენს აზრად არა აქვს თავს დაესხას მტერსაო.

**ლონდონი.** კაპშტადტიდგან ოფიციალური ცნობა მოვიდა, რომ მოდდერ-რივერში არავითარი ცვლილება არ მომხდარაო. მეტუენი კარგად გამაგრდა. გატეკრი იუწყება, რომ პოლიციელთა ჯარის 150 კაცმა დორტრეხტი დაიჭირაო. ბურებმა უკან დაიწიეს.

**დურბანი.** „რეიტ. სააგ.“ ინგლისის სამხედრო გემმა შეიპყრო და დურბანში მიიყვანა ნორვეგიის გემი „Regïna“, რომელიც ივიდგან მიდიოდა რკინის გზისათვის საჭირო მასალით დატვირთული.

**ლონდონი.** „რეიტ. სააგ.“ სამხედრო სამინისტრომ გამოაქვეყნა პიტერმარიცბურგიდგან 12 დეკემბერს გამოგზავნილი დეპეშა, რომელიც იუწყება, რომ 10 დეკემბერს ლედი-სმიტთან ბრძოლა მოხდაო. დაჭრილ იქმნა 5 აფიცერი და 10 ჯარის-კაცი; მოკლულ—9 ჯარის-კაციო.

**კაპშტადტი.** 8 დეკემბერი. „რეიტ. სააგ.“ რაც დრო და ხანი გადის, კაპის ახალშენში რევოლიუციონერი მოძრაობა მით უფრო ძლიერდება. ამ მოძრაობას მიემხრო კაპის ახალშენის სამი წევრი. ერთმა მათგანმა 200 კაცის თანადასწრებით გადასცა ერთ აფიცერს ორანჟეს რესპუბლიკის დროშა და უთხრა, იმედი მაქვს, რომ ეს დროშა სიხარულსა და გამარჯვებას მოგანიჭებთო. მეორე წევრის შესახებ ამბობენ, რომ მან საჯაროდ გამოუცხადა ბურებს თანაგრძნობაო. მესამე წევრის ვაჟი და ქალი კიდევ ორანჟეს რესპუბლიკის დროშის ნიშნებს ატარებდნენო. თუმცა ჯერ არა მტკიცდება, მაგრამ ხმა-კი გავრცელდა, რომ შეერთებულ შტატების სხვა-და-სხვა ნაწილებში ფენიებს შორის მოძრაობააო. ფენიებს აზრადა აქვთ კანადას შეესივნენ და ამით დახმარება გაუწიონ ბურებსაო.

**ნიუ-იორკი.** „Journal“-ი იუწყება, რომ სტატს-სეკრეტარმა ჰეიმ გამოუცხადა პაუნფოტს, ყოველი ღონე ვიხმარე, რათა შეერთებულ შტატებს ნეიტრალიტეტი დაეცვაო.

გაზეთი უმატებს, რომ პაუნეფოტმა ლონდონში დეპეშა გაგზავნა, რომელშიაც თხოულობს, რომ კანადის საზღვარი გამაგრებული იქმნასო.

**ვაშინგტონი.** „რეიტ. სააგ." შინაგან საქმეთა სამინისტრომ არაფერი უწყის ფენიების მოძრაობის შესახებ. ამბობენ, ამ ხმების გავრცელებას აზრად კანადის შეშინება აქვსო, რათა ამ ახალშენმა აფრიკაში ჯარი აღარ გაჰგზავნოსო.

**მოდდერ-რივერი.** 9 დეკემბერი. „რეიტ. სააგ." დღეს სხვა-და-სხვა ადგილას ზარბაზნის განუწყვეტელი სროლაა. ბურების ზარბაზნების ყუმბარები ინგლისის ჯარამდე ვერ აღწევს.

**ლისაბონი.** „ჰავასის სააგენტო". ოპორტოდგან მოსული ერთი ჯარისკაცი შავის ჭირით გახდა ავად. ეს ჯარის-კაცი და აგრეთვე ერთი როტის ჯარის კაცნი საავადმყოფოში გადაიყვანეს.

**პარიჟი.** „ჰავასის სააგენტო". დელკასემ პეკინში მყოფ საფრანგეთის ელჩისაგან ამბავი მიიღო, რომ ჩინეთმა საფრანგეთის ყველა მოთხოვნილება დააკმაყოფილაო.

**პარიჟი.** „ჰავ. სააგ." უმაღლესი სასამართლო. ბიუფფემა და კაილიმ რეკვიზიტორიის დროს ხმამაღლა უკმაყოფილება განაცხადეს, რის გამო ორივენი სასამართლოს დარბაზიდგან გაიყვანეს.

**ოდესსა.** ზღვის ნაპირთან ყინულის სისქე $^3/_4$ ადლია. რუსეთის სანაოსნო საზოგადოებამ გემების მიმოსვლა შეაჩერა ყირიმსა, კავკასიასა და ოდესსას შორის.

**პეტერბურგი.** 14 დეკემბერს წავიდა ტრანსვაალში რუსეთ-ჰოლანდიის სამკურნალო-სასანიტარო რაზმი, რომელიც შესდგა ჰოლანდიის პასტორის გილლოტის მეცადინეობით შეკრებილ ფულით. ეს ფული 100,000 მანეთს აღემატება.

**პარიჟი.** გერმანიის ელჩი გრაფი მიუნსტერი გააგაში წავიდა გააგის კონფერენციის დადგენილებათა ხელმოსაწერად.

**ბერლინი.** „Norddleutsche Zeitung"-ი სწერს: „მრავალ სხვა სახელმწიფოსავით გერმანიამ თავისს დროზედ ხელი მოაწერა გააგის საერთაშორისო მშვიდობიანობის კონფერენციის 29 ივლისის ოქმს, ხოლო რაც შეეხება კონფერენციის მიერ შემუშავებულ კონვენციებსა და დეკლარაციებს, მან უფლება დაიტოვა დაწვრილებით განსაჯოს ეს საბუთის ქაღალდები. რაკი გერმანიის მთავარ-სამმართველომ იგი განიხილა, მიენდო გააგის კონფერენციაზედ მყოფს უფროსს დელეგატს, გერმანელს ელჩს პარიჟისას გრაფ მიუნსტერს წავიდეს გააგაში და სახელმწიფოს სახელობით ხელი მოაწეროს კონფერენციებსა და დეკლარაციებს, მხოლოდ მეათე მუხლს, რომელიც ეხება კონვენციით საზღვაო ომის დროს ხელმძღვანელობას შეეხება, ისეთივე შენიშვნა მოეწერება, როგორის მოწერაც ინგლისსა აქვს მხედველობაში. 28 დეკემბერს მიუნსტერი მივა გააგაში და მოაწერს ხელს საბუთის ქაღალდებს და ამითი მიემხრობა ავსტრია-უნგრეთსა და იტალიასავით გააგის კონფერენციის დადგენილებათ. ამითი გერმანია ახალს საბუთს იძლევა იმ მშვიდ და გონიერ პოლიტიკისას, რომელიც მუდმისად მჭიდროდ აკავშირებს ამ სახელმწიფოს სხვა მისს მოკავშირე სახელმწიფოებთან და ამასთანავე მეზობელ რუსეთის იმპერიასთან კეთილ-მეზობლურს, რწმენით აღსავსე დამოკიდებულებას ამყარებს.

**ლონდონი.** მეტეენი იუწყება, რომ მტრის ჯარი გაძლიერდა და ეხლა მხოლოდ იმის ცდაშია, რომ თხრილებსა სთხრის ინგლისის ჯარის წინა სადგურების სამ ნახევარ მილის მოშორებითაო.

**გიბრალტარი.** გუშინ საღამოს მოვიდა გემი „Dunaltar Castle", რომელზედაც ფელდმარშალი რობერტსი იმყოფება. კიტჩენერი ამ გემზედ გადავიდა. გემი ხვალ წავა სამხრეთ აფრიკაში.

**პრეტორია.** 12 დეკემბერი. ჟუბერი 6 დეკემბერს მოვიდა მთავარსადგურში და ბურები დიდის სიხარულით მიეგებნენ. მან ბურებს სიტყვა უთხრა.

**ლონდონი.** 9 დეკემბერი. კარგად მიეგება ინგლისის ჟურნალ-გაზეთობა ფინანსთა მინისტრის ვიტტეს სახელობაზედ ბოძებულს უმაღლესს რესკრიპტს. „Times"-ი სწერს: სასიხარულოა, რომ ვიტტემ, რომელიც წარმოებისა და ვაჭრობის წარმატების პოლიტიკის წარმომადგენელი და მომხრეა, ასეთი თვალ-საჩინო დამამტკიცებელი საბუთი მიიღო იმპერატორის მისდამიმართ წყალობისა და სათნოყოფისა. ეს რესკრიპტი ახალი საბუთია რუსეთის იმპერატორისა და მისის ფინანსთა მინისტრის მშვიდობიანობის მოყვარე, მორიგების დედა აზრებისა. აი, კიდეც ამიტომ არავითარი მიზეზი არ აპრკოლებს რუსეთისა და ინგლისის კეთილად შეთანხმებას იმ ქვეყნების მერმისის შესახებ, რომელნიც მჭიდროდ არიან შეკავშირებულნი ორივ სახელმწიფოს მიწა-წყალთან. „Standard"-ი, „Pall-Mall Gazette", „Financiel News"-ი და „Daily Bullionist"-ი იმ აზრისანი არიან, რომ ძალიან კარგი შედეგი მოჰყვება მინისტრის ვიტტეს იმ წინადადების უმაღლესად დამტკიცებას, რომელიც რუსეთის ბირჟისა და სააქციო საზოგადოებათა გამო არსებულ კანონდებულებაში ცვლილების შეტანას შეეხებაო. „Standard"-ი სწერს: ეს ცვლილებანი, შეერთებული მეფის იმ გარდაწყვეტილებასთან, რომ მშვიდობიანობის პოლიტიკას ადგეს, იძულებულ ჰყოფს ბრიტანიის ფულის პატრონთ ეცადნენ და რუსეთში დააბინაონ თავისი ფულიო.

**ნოვოჩერკასკი.** გუშინ, საღამოს 7 საათზედ, გაძარცვის აზრით მოჰკლეს მამულის პატრონი ქ-ნი კრასოვსკისა და ორი მისი მოსამსახურე მძიმედ დასჭრეს. გადარჩენილა ბიჭი, რომელიც კრასოვსკისთან სცხოვრობდა. მეეტლეს სდომებია ერთის მკვლელთაგანის დაჭერა, მაგრამ ორ სხვა ბოროტ გამზრახველს დაუჭრიათ მეეტლე დანით და თავისი ამხანაგიც, შემთხვევით, რევოლვერით. დაჭრილი ავაზაკი რკინის გზის სადგურზედ შეიპყრეს.

**ტამბოვი.** თუმცა საერთოდ კარგი მოსავალია, მაგრამ ამ გუბერნიის ზოგიერთ ადგილების მკვიდრთ მაინც შემოაკლდებათ სახმარებლად და სათესლედ პური. ამის გამო გუბერნიის ერობის კრებამ ამ საგნისათვის 50,000 მან. გადასდო.

16 დეკემბერი

**პეტერბურგი.** გამოქვეყნებულია უმაღლესი ბრძანება იმის შესახებ, რომ 1900 წელს გამოცემულ იქმნას სახელმწიფო ხაზინის ორის ხარისხის ბილეთები 55.516,000 მანეთისა.

**ოდესა.** ნაოსნობა შეწყვეტილია.

**პოლტავა.** უკვე მოვიდნენ კიევის სამოსამართლო პალატის განსაკუთრებულ საკრებულოს წევრნი ძმ. სკიტსკების საქმის მოსასმენად. აქვე არიან დამცველნი და სამოქალაქო დავის წარმომადგენელი. ამბობენ, რომ საქმის განხილვა ერთს კვირას გასტანსო.

**სტერკსტრომი.** ხმა დადის, რომ ხუთშაბათს კაპსკის პოლიციის რაზმმა, პოლკოვნიკის მონმორანსის მეთაურობით, დაამარცხა მეამბოხეთა რაზმი, რომელიც 180 კაცისაგან შესდგებოდა, უნდეს ახლო რკინის გზის შტოზედაო. მეამბოხენი გაიქცნენ, დასტოვეს ბანაკი, ტანისამოსი, სურსათი და თოფები. ინგლისელთაგანი არავინ დაჭრილა.

**ვაშინგტონი.** როგორც იუწყებიან ახალ ორლეანიდგან, ბურების აგენტები დიდ-ძალს ხორბალსა და სიმინდს ჰყიდულობენ თურმე რატტერდამში გასაგზავნად.

**ვენა.** მინისტრ-პრეზიდენტად ნამყოფი კლარი დანიშნულ იქმნა შტირიაში „ნამესტნიკად".

**პარიჟი.** ბრალმდებელი თხოულობს, რომ დასჯილ იქმნენ გერენი და ლიურსალიუსი და გამართლებულ ის ექვსნი ბრალდებულნი, რომელთაც ბრალდებისაგან მან უარი განაცხადა. სასამართლომ გაამართლა ისინი და განათავისუფლა. შემდეგი სხდომა ხვალ იქმნება.

**ბერლინი.** „Nene Wiener Tagehlatt"-ში დაბეჭდილია, რომ ბისმარკის ორივე შვილი წინა აღუდგა მათის მამის „აზრთა და გონებათა" მესამე ნაწილის დაბეჭდვას. საქმე ის არის, რომ ამ მესამე ნაწილში გამორკვეულია მოხუცის საიმპერიო კანცლერის დათხოვნისა და აგრეთვე მისის იმპერატორთან შელაპარაკების მიზეზნი. ბისმარკის შვილებს, აშკარაა, განზრახვა აქვთ ხელი შეუშალონ ამ მიზეზთა გამოქვეყნებას. საგამომცემლო ფირმა კოტტისა, რომელსაც მოპოვებული აქვს ბისმარკისაგან უფლება მისის წერილების გამოცემისა, ამ აღკრძალულის გამო ზარალშია და უეჭველია საჩივარს დაიწყებს ბისმარკის შვილების წინააღმდეგ.

**ბერლინი.** „Lokal Anreiger"-ში იბეჭდება ცნობები ვითომ გერმანიასა და ინგლისს შორის დადებულ საიდუმლო ხელშეკრულობის შესახებ ამ სათაურით: „პორტუგალიის ახალშენთა განაწილება". „ვოლფის სააგენტოს" სარწმუნო წყაროდგან აუწყებენ, რომ ეს ცნობები ტყუილიაო.

**ბერლინი.** „Lokol Anreiger"-ში დაბეჭდილია ცნობები გერმანიისა და ინგლისს შორის დადებულ საიდუმლო მორიგებისა პორტუგალიის ახალშენთა შესახებ. ამ მორიგების ძალით, პორტუგალიის სამფლობელო აფრიკაში, ზამბეზიდგან დაწყებული ჩრდილოეთ ნაწილის გარდა, გერმანიის ეთმობა, ხოლო გერმანიამ სამაგიეროდ 25.000,000 მარკა უნდა გარდაუხადოს პორტუგალიას.

---

# განცხადებანი

**ტფილისის ქალაქის**

**გამგეობისაგან:**

რადგან ქალაქ ტფილისში მეტად გაძვირდა ნავთი, ნახშირი და შეშა, ტფილისის შთამომავლობითმა საპატიო მოქალაქემ ალექსანდრე ივანეს ძემ მანთაშევმა გადასცა ტფილისის ქალაქის გამგეობას ხუთი ვაგონი ნავთი, წონით 3500 ფუთამდე, იმ აზრით, რომ გამგეობამ ეს ნავთი მიჰყიდოს ტფილისის უღონო ღარიბ მცხოვრებთ ფუთი 1 მანეთად, ანუ გირვანქა ორ კაპეიკ ნახევრად, ხოლო აქედგან აღებულის ფულით შეიძინოს შეშა და ნახშირი ღარიბთათვის უსასყიდლოდ დასარიგებლად. ამის გამო გამგეობა აცხადებს, რომ ქალაქის ღარიბ მცხოვრებთ 17 დეკემბრიდგან შეუძლიანთ შეიძინონ ნავთი შემდეგს ადგილებში:

1) ნავთლუღში, რეიტერის ქუჩაზედ, წყლის კრანტთან (ონკანთან).

2) კახეთის მოედანზედ, სავაჭრო-სამეურნეო პოლიციის კანტორაში.

3) წმ. ნიკოლოოზის ეკკლესიასთან ჩუღურეთში, წყლის ონკანთან.

4) ავჭალის მოედანზე, წყლის ონკანთან.

5) ნაძალადევში, წყლის ონკანთან.

6) დიდუბეში, ქალაქის ღამის თავშესაფარში.

7) ოლგას და წყნეთის ქუჩების კუთხეში, წყლის ონკანთან.

8) მამადავითის მოედანზე, წყლის ონკანთან.

9) მუხრანის ქუჩაზედ, წყლის ონკანთან.

10) თათრის მეიდანზედ, ქალაქის სასწორთან.

11) ვარანცოვის ქუჩაზედ, ჩითახოვის ქარხნის პირდაპირ, ქალაქის ღამის პირველ თავშესაფარში.

ნავთი გაიყიდება გირვანქა ორ კაპეიკ-ნახევრად და ერთ კაცს მიეცემა არა უმეტეს 4 გირვანქისა.

გაყიდვა დაიწყება დღის 12 საათზედ და გასტანს საღამოს 5 საათამდე.

შეშისა და ნახშირის უსასყიდლოდ დარიგების შესახებ ცალკე იქნება გამოცხადებული. (3—6.—1)

---

ქუთაისის გუბერნიის, შორაპნის მაზრის **შავის ქვის მწარმოებელთა კრების საბჭო** ამით აცხადებს, რომ იჯარით უნდა გასცეს სამრეწველო გზათა შეკეთება შავის ქვის მაღნებსა და დ. ჭიათურას შუა. ვისაც ჰსურს ამ გზების შეკეთება იჯარით აიღოს, შეუძლიან საბჭოს სადგომში, ქუთაისში, გაიცნოს ყოველივე წვრილმანი ამ საქმისა და აგრეთვე თავისი პირობა წერილობით წარუდგინოს საბჭოს. (3—6.—3)

---

ქალაქ თელავში

# ისყიდება

იაფად სახლი, ბაღი და სახნავი მიწა. მსურველთ უნდა მიჰმართონ სამთო ინჟინერს იონშერს: თელავი, საკუთარი სახლი. (3—205—3)

---

პეტერბ. სამკურნალო გამგეობის ნება-რთვით. დიდი კოლოფი ღირს 5 მან., პატარა კოლ. —3 მან. და 1 მ. 50 კაპ.




**ახალი საშუალება**

თმის გასაზრდელად და გასამაგრებლად, რომელიც აგრეთვე ქერტლსაც აქრობს. შემდეგ, გამოვიდა კიდევ ახალი საშუალება

**„კვერცხის რძე"**

სახის გასანაზებლად და გასათეთრებლად. „კვერცხის რძე" არჩენს მზისაგან დამწვარ კანს, სპობს მუწუკებს, არბილებს კანს. **ფასი ყველასათვის ხელ-მისაწვდენია:** დიდი ჭიქა —2 მან., პატარა —1 მან. 50 კაპ. იყიდება ყველა საპარფიუმერო და სააფთიაქო მაღაზიაში. მთავარი საწყობი არის პეტერბურგში, პუშკინის ქუჩაზედ № 15, სადგ. 12. საწყობს განყოფილებანი აქვს ტფილისში— ერევნის მოედ. სააფთიაქო საქონლის სავაჭრო ამხანაგობაში და ბაქოში, იყიდება აგრეთვე ხიდზედ პოპოვისა და არისტაკოვის სააფთიაქო მაღაზიაში.

ქალაქ გარეთ მცხოვრებთ დაუყოვნებლივ ფოსტით გაეგზავნებათ. (100—150—55)

---

| „მოამბე" 1900 წ. | „ცნობის ფურცელი" |
| --- | --- |
| (წელიწადი მეშვიდე) | (წელიწადი მეხუთე) |
| გამოვა ყოველ თვის პირველ რიცხვებში | გამოვა ყოველ-დღე, კვირა-უქმეების შემდეგაც |
| ფასი ჟურნალისა გაგზავნით: | ფასი გაზეთისა გაგზავნით: |
| 1 წლით 6 თვით 3 თვით | 1 წლ. 6 თვით 3 თვით 1 თ. |
| 10 მანეთი 6 მანეთი 4 მანეთ. | 6 მან. 3 მ. 50 კ. 2 მან. 75 კ. |
| საზღვარ-გარედ წლიურად 13 მან. | საზღვარ-გარედ წლიურად 8 მან. |

წლიური ფასი შეიძლება განაწილდეს:

| | |
| --- | --- |
| პირველად—5 მან., 1-ლ აპრილამდე—3 მანეთი და 1-ლ სექტემბრამდე—2 მანეთი. | პირველად—3 მანეთი, 1-ლ აპრილამდე—2 მანეთი და 1-ლ სექტემბრამდე—1 მანეთი. |
| რედაქტ. ალ. ჭყონია. გამომც. ალ. ჯაბადარი. | დროებითი რედაქტორი ალ. ჭყონია. |

განცხადების ფასი გაზეთში: პირველ გვერდზე სტრიქონი 10 კაპეიკი, მეოთხეზე—5 კაპეიკი.

თუ განცხადება 3-ჯერზე მეტი დაიბეჭდება, მაშინ დაბეჭდვა ნაკლები ეღირება.

ადრესი: Тифлисъ въ редакцію „МОАМБЕ" и „ЦНОБИСЪ ПУРЦЕЛИ"

Дозволено цензурою, Тифлисъ 16 Декабря 1899 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე